ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

ია გაბედავა - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: გ. კ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 06/02/2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 013/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. ფ.-ის მიმართ /სიითი ნომრით /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ფ.-ის მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხსმგებლობისა და დისციპლიური წარმოების შესახებ“ დებულების თანახმად პაუხისმგებლობის დაკისრება და ზიანის ანაზღაურება

I აღწერილობით ნაწილი

1. საჩივრის ავტორი პოზიცია.

1.1 2019 წლის 06 თებერვალს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა გ. კ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. ფ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 გ. კ.-ს ქონებრივი დავა ჰქონდა რძალთან და ძმიშვილთან - ნ. და მ. კ.-ებთან. მომჩივანის განმარტებით, მან თავდაპირველად, საჩივრით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, თუმცა ადვოკატის არყოლის გამო სარჩელი წარმოებაში არ მიიღეს და ურჩიეს ადვოკატ ნ. ფ.-ის დახმარება. მომჩივანმა მიმართა ადვოკატ ნ. ფ.-ს სამოქალაქო დავაზე საადვოკატო მომსახურების მისაღებად და წინასწარ გადაუხადა ჰონორარის სახით - 1100 ლარი. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ხელზე მისცა ადვოკატს ჰონორარი, შემდგომ კი, ადვოკატმა მას ქვითარი

გადასცა, რომლის მიხედვით თითქოს, საჩივრის ავტორმა მას 1000 ლარი გადარიცხვის გზით გადაუხადა.

1.3 ადვოკატი ნ. ფ. გ. კ.-ს დაპირდა, რომ სამი მოწმის არსებობის შემთხვევაში, საქმე მის სასარგებლოდ დასრულდებოდა. მომჩივანის განცხადებით, მან დაასახელა სამის ნაცვლად ორი მოწმე, ხოლო მესამე არ დაასახელა, ვინაიდან, ადვოკატმა მესამე მოწმე საჭიროდ არ ჩათვალა, მეტიც ადვოკატის თქმით, მას მოწმე საერთოდ არ სჭირდებოდა.

1.4 მომჩივანის განცხადებით, მის მიერ დასახელებული მოწმეები დააშინა მოწინააღმდეგე მხარემ, შესაბამისად, აღნიშნულმა პირებმა მოწმის სტატუსით საქმეში ჩართვაზე უარი განაცხადეს. აქედან გამომდინარე, მომჩივანმა მათ ნაცვლად სულ სხვა პირები წარმოადგინა სასამართლო პროცესზე. მომჩივანი აცხადებს, რომ ახალი მოწმეების თაობაზე მან შეატყობინა ადვოკატს.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, იქედან გამომდინარე, რომ გ. კ.-ის მიერ თავდაპირველად მითითებული მოწმეები შეიცვალა, სასამართლომ უარი განაცხადა ახალი მოწმეების დაკითხვაზე, რაც გახდა პირველ ინსტანციაში საქმის წაგების მიზეზი.

1.6 მომჩივანის განცხადებით ყველაფერი ორგანიზებული იყო მოპასუხე მხარის მიერ, რასაც ხელი შეუწყო ადვოკატის, მისივე სიტყვებით „უგუნურმა“ ქმედებამ, რის შედეგადაც მან დაკარგა ქონება, რომელიც მისთვის იყო გამიზნული და მთელი ამ პროცესების შემდგომ უფრო მეტად დაზარალდა.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, უკმაყოფილების მიუხედავად, მან ადვოკატთა ურთიერთობა არ შეწყვიტა, რადგანაც ადვოკატი ნ. ფ. მას გადახდილ ჰონორარს მოთხოვნის მიუხედავად არ უბრუნებდა, შესაბამისად, საქმის სასამართლოში წარმოების ყველა ეტაპზე ადვოკატი ნ. ფ. წარმოადგენდა მის ინტერესებს.

2. ადვოკატის პოზიცია

2.1 ადვოკატი უარყოფს იმ ფაქტს რომ მან მომჩივანს მისცა პირობა, რომ საქმეს მხოლოდ სამი მოწმის მოყვანის შემთხვევაში მოიგებდა. ადვოკატის განმარტებით აღნიშნულ საქმეში იყო საკმარისი მტკიცებულებები და არგუმენტები იმისათვის, რომ წარმატებით დასრულებულიყო.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ხელშეკრულების მიხედვით, მომჩივანს საქმის დასრულების შემდეგ ადვოკატისთვის უნდა გადაეხადა 1000 ლარი, ამის ნაცვლად, მომჩივანმა საქმის განხილვამდე თვენახევრით ადრე გადაუხადა თანხა მისივე ინიციატივით, აღნიშნული ქმედებით ადვოკატის აზრით, ის მისი გულის მოგებას ცდილობდა.

2.3 ადვოკატის განცხადებით, მომჩივანმა მის მიერ თავდაპირველად მითითებული მოწმეები თვითნებურად ჩაანაცვლა სასამართლო პროცესზე, მოსამართლემ არ მისცა უფლება სხვა მოწმეების დაკითხვის, რის შედეგადაც, საქმე საბოლოოდ მოპასუხის სასარგებლოდ გადაწყდა, რადგან დაიკითხა მოპასუხის დასახელებული მოწმეები და სასამართლომ გაითვალისწინა მათი ჩვენებები.

2.4 ადვოკატი არ იზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ მის ოფისში მეუღლესთან ერთად მისულ გ. კ.-ს შეურაცხყოფა მიაყენა. აღნიშნული წარმოადგენს მომჩივანის „ფანტაზიის ნაყოფს“.

2.5 ადვოკატის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მან გაასაჩივრა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში, სადაც ასევე წარმოადგენდა გ. კ.-ის ინტერესებს. საქმის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ, გ. კ. ესტუმრა მის ოფისს, რომელიც კონფლიქტისა და დაძაბულობის გარეშე დატოვა.

2.6 ადვოკატის განცხადებით, მის პოზიციაზე გავლენა არ მოუხდენია მომჩივანის ბიძას გ. ქ.-ს და იგი საადვოკატო მომსახურების პერიოდში მხოლოდ კლიენტის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი ნ. ფ. არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი N/, სპეციალიზაცია - საერთო. გ. კ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 06 თებერვალს.

3.2 სადავო ქმედება განხორციელებულია 2016-2018 წლებში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა.

საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. ფ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატება შემდეგში: ადვოკატმა ნ. ფ.-მ კვალიფიციურად არ წარმოადგინა გ. კ.-ის ინტერესები, წინასწარ შეუქმნა მას იმის მოლოდინი, რომ საქმეს მოიგებდა, თუმცა საბოლოოდ საქმე წააგო.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ნ. ფ.-ის მიერ შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.6 მუხლი: “ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობიდან და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.“

5.3 ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებისა და მინიჭებული რწმუნების საფუძველზე იმოქმედოს კლიენტის ინტერესების დასაცავად და უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულება. ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად უნდა გამოიყენოს კანონით

გათვალისწინებული ყველა საშუალება, რათა სათანადოდ იყოს კლიენტი წარმოდგენილი და ადვოკატითვის მინდობილი საქმის თაობაზე მიიღოს კვალიფიციური და სრული მომსახურება.

5.4 2016 წლის 21 ივნისს გ. კ.-სა და ადვოკატ ნ. ფ.-ს შორის წერილობით გაფორმდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება. ამავე წლის 15 ივლისს საჩივრის ავტორმა ადვოკატ ნ. ფ.-ის სახელზე გასცა მინდობილობა მისი ქონებრივი და/ან არაქონებრივი ინტერესების წარმოდგენის მიზნით ყველა ინსტანციის სასამართლოში. მომსახურების ოდენობა განისაზღვრა 1000 ლარით, რომლის გადახდასაც ორივე მხარე ადასტურებს.

5.5 მხარეთა ახსნა-განმარტებით დგინდება, რომ ადვოკატი ნ. ფ. წარმოადგენდა გ. კ.-ის, როგორც მოსარჩელის ინტერესებს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, მათ შორის, საქმის მოსამზადებელ ეტაპზე, რა დროსაც, შუამდგომლობით დასახელდა მოწმედ დასაკითხ პირთა ვინაობა. დავის საგანს წარმოადგენდა სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, უძრავი ქონების მესაკუთრედ აღრიცხვა.

5.6 მოცემულ შემთხვევაში ირკვევა, რომ შეთანხმების შესაბამისად, ადვოკატმა ნ. ფ.-მ გ. კ.-ის საადვოკატო მომსახურების გაწევა განაგრძო სააპელაციო სასამართლოში. კერძოდ, მან სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2017 წლის 23 მარტს მიღებული გადაწყვეტილება გ. კ.-ის სარჩელის არდაკმაყოფილების თაობაზე. ადვოკატმა საჩივრის ავტორის მითითების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში.

5.7 კოლეგია საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ პრეტენზიაზე, რაც ეხება საქმის წარმატებით დასრულების თაობაზე გარანტიის მიცემას, აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ არის წარმოდგენილი საკმარისი მტკიცებულება, დასაბუთებული ვარაუდის შესაქმნელად, რომ ადვოკატი საჩივრის ავტორს დაპიდა საქმის მოგებას.

5.8 საჩივრის ავტორი პირველ და მეორე ინსტანციაში გამართულ სასამართლო სხდომებს ადვოკატთნ ერთად ესწრებოდა. გ. კ. ადასტურებს, რომ თავდაპირველად, მის მიერ დასახელებული მოწმეთა დაკითხვა სასამართლო პროცესზე შეუძლებელი გახდა მოწინააღმდეგე მხარის ხელშეშლის გამო, შემდგომ, კი ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ახალი მოწმეების დაკითხვაზე შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

5.9 საჩივრის ავტორის საქმის სასამართლოში წარმოების დროს, მოწმეთა გამოკითხვის თაობაზე ადვოკატის მიმართ წარდგენილ პრეტენზიებზე საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდება, ის გარემოება, რომ ადვოკატმა წარმომადგენლობის განხორციელებისას არ იმოქმედა კლიენტის ინტერესების შესაბამისად, მათ შორის არ უზრუნველყო კლიენტისათვის კვალიფიციური რჩევის მიცემა განსახოციელებელი საპროცესო მოქმედებების თაობაზე, მათ შორის, საქმესთან დაკავშირებით მოწმეთა დაკითხვის შესახებ. ამასთან, კოლეგია აღნიშნავს, რომ ეთიკის კომისიის კომპეტენციას არ განეკთვნება შეაფასოს ადვოკატის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურების ხარისხი. კერძოდ, კომისია ვერ მიუთითებს კლიენტის საქმესთან დაკავშირებით, რომელი საპროცესო მოქმედების

განხორციელება იქნებოდა მიზანშეწონილი და ვერ განსაზღვრავს, მოწმეთა დაკითხვის საჭიროებას, მათ შორის, რომელი მოწმე უნდა გამოკითხულიყო საქმესთან დაკავშირებით.

5.10 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ პრეტენზიაზე, რაც ეხება კლიენტისადმი გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულებას:

„კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 ნაწილი)

5.11 ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ,,საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას.“ (ეთიკის კომისიის 2017 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე 072/16).

5.12 ადვოკატმა ნ. ფ.-მ საჩივრის ავტორთან შეთანხმების შესაბამისად, ჰონორარის სახით მიიღო 1000 ლარი. (2016 წლის 21 ივნისის იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება - ს.ფ.3; 2017 წლის 11 აპირლის თანხის გადარიცხვის დოკუმენტი - ს.ფ. 7). გ. კ.-ის განცხადება იმის თაობაზე, რომ მან ნ. ფ.-ს წინასწარ გადაუხადა 1100 ლარი ხოლო მაშინ, როდესაც მისგან თანხის უკან დაბრუნება მოითხოვა ადვოკატმა მისცა გადახდის ქვითარი, რომლითაც დასტურდებოდა 1000 ლარის გადახდა, ემყარება მხოლოდ თავად გ. კ.-ის განმარტებას და საქმეში წარმოდგენილი გადახდის ქვითარი ადასტურებ იმას, რომ გადახდილ იქნა 1000 ლარი.

5.13 საპროცესო კოლეგია, მიღებული ჰონორარის ადვოკატის მიერ პროპორციულად გამომუშავების თაობაზე აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურება განხორციელდა საჩივრის

ავტორის საქმესთან დაკავშირებით სამივე ინსტანციის სასამართლოში და მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი იმის დასადასტურებლად, რომ ადვოკატმა მიღებული ჰონორარის ფარგლებში შეთანხმების შესაბამისად, სრულად არ განახორციელდა საადვოკატო მომსახურება. შესაბამისად, არ დასტუდება კლიენტისათვის გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულების დარღვევა. ამასთან, საპროცესო კოლეგია საჩივრის ავტორის პრეტენზიის თაობაზე, რაც ეხება თანხის დაბრუნებას და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, აღნიშნავს, რომ ეთიკის კომიის კომპეტენციას არ მიეკუთვნება იმსჯელოს დასაბრუნებელი თანხის ოდენობის თაობაზე და შეაფასოს ზიანის ანაზღაურების საკითხი.

5.14 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-33-ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №013/19 ადვოკატ ნ. ფ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი: /ია გაბედავა/